პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ივნისი პარასკევი 1970 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 136 (14740)

ცხოვრება სავსებით ადასტურებს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორეს. ხმა მისცეთ კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ნიშნავს იმას, რომ მხარი დაუჭიროთ ამ პოლიტიკას, იბრძოლოთ სსრ კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მათი ძმური მეგობრობისა და ერთიანობის ყოველი დონისძიებით განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მოგართვიდან

თვითეული კომუნისტის საქმე

PRAVDA

11 ივნისის მოწინავე

ოსკოვის „დინამოს“ ქარხნის კოლექტივმა სამ წელიწადსა და ცხრა თვეში მაღალი ხუთწლიდის დამლევისათვის დასახულ შრომის ნაყოფიერებას. აქ წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის დავალებებს, იზრდება წარმოების ეფექტიანობა.

— ამ მაჩვენებლების მიღმა კომუნისტთა დიდი ორგანიზატორული მუშაობაა — თქვა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ივანოვმა მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, სადაც საუბარი იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების შედეგებზე. — კომუნისტთა ინიციატივით მიმდინარეობს ქარხნების რეკონსტრუქცია, ახლდება მოწყობილობა, უმჯობესდება ტექნოლოგია. მოძძაობა პირადი ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისა და თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის — ესეც პარტიელთა თაოსნობაა. მათს მაგალითს ყველა მიბაძავს: დინამოელებმა გადაწყვიტეს ვადამდე, 25 ივნისისათვის შეასრულონ ნახევარი წლის გეგმა, დავალების გადამეტებით გამოუშვან მილიონი მანეთის პროდუქცია.

ეს მაგალითი დამახასიათებელია ბევრი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისათვის. ეს პარტიული ორგანიზაციები, დგანან რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე და ავითარებენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, მეცადინეობას წარმართავენ წარმოების რეზერვების ყოველი ღონისძიებით გამოყენებისა და შემდგომი სრულყოფისათვის. კომუნისტები ზრუნავენ, რომ ყოველ უბანზე ღრმა ანალიზს უკეთებდნენ და სწორად აფასებდნენ მუშაობის შედეგებს, დროულად ავლენდნენ ნაკლოვანებებს და ახორციელებდნენ ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის.

ასეთი მიდგომა განსაკუთრებით საჭიროა ახლა. მიმდინარეობს ხუთწლედის უკანასკნელი წელი. „ამ წლის შედეგებზე, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხარკოვში, — დიდად იქნება დამოკიდებული ხუთწლედის შესრულება მთლიანად. საჭიროა დავრაზმოთ მთელი რესურსები, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ვადაზე, ხოლო კიდევ უკეთესია — ვადამდე შეასრულოთ ეგეგმი გათვალისწინებული დავალებანი, ახალი დიდი ნაბიჯი გადავდგათ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში“.

ამ ამოცანების გადაწყვეტის გზები ზუსტად განსაზღვრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“. განახილეს რა პლენუმის შედეგები და წერილი, მშრომელთა კოლექტივებმა დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება სწრაფად აითვისონ ახალი სიმძლავრენი, მოახდინონ საწარმოების რეკონსტრუქცია მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე, დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და წარმოების მართვა, მომჭირნეობით ხარჯონ მასალები, ნედლეული და ელექტროენერგია.

აქ, სადაც დასახულის განხორციელებას დაუყოვნებლივ მოჰკიდეს ხელი, უკვე მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. გასაგებია, რომ შეიძლება ყველა ღონისძიება ერთბაშად ადვილად ვერ შეასრულო, ბევრი მათგანი გათვალისწინებულია ხანგრძლივი ვადისათვის, დაკავშირებულია წარმოების ძირეული პრობლემების გადაწყვეტასთან. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა, კომუნისტმა განსაკუთრებული უურადღება უნდა დუთმონ ამ საქმეს, ყოველდღიურად იზრუნონ, რომ არც ერთი სასარგებლო წინადადება არ დარჩეს განუხორციელებელი.

ამავე დროს მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილთან, ზოგან აღიქვეს, როგორც მორიგი ხანმოკლე კამპანია, რომლის დავიწყება უკვე შეიძლება. ასეთი ფორმალური მიდგომის შედეგმა მაშინვე იჩინა თავი: მთელ რიგ საწარმოებში ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვის დროს გამოვლინებულ რეზერვებს ნელა იყენებენ საქმეში. ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა შენიშნა ეს სერიოზული შეცდომა და ცდილობს გამოასწოროს იგი. მაგალითად, პარტიის ვოლოგდის საოლქო კომიტეტის ბიუროომ, როცა განიხილავდა საკითხს ამის შესახებ, თუ როგორ რაზმავენ ქალაქ ჩერეპოვეცის კომუნისტები ხუთწლედის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის, მწვავედ გააკრიტიკა ის მუშაკები, რომლებმაც ატეხეს ხმაური წერილის გარშემო და მალე მიივიწყეს იგი. ბიუროომ პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა ეს მუშაობა აწარმოონ ღრმად და თანმიმდევრულად, საწარმოების ყველა შესაძლებლობის გათვალისწინებით.

როცა საქმე ეხება რეზერვების მობილიზაციას, განსაკუთრებით საჭიროა მუდმივი კონტროლი და მისი მახვილი მიმართული უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა საქმის ორგანიზაციისათვის, რომ კოლექტივის მიერ მოწონებული ღონისძიებანი განუხრელად ხორციელდებოდეს.

ზოგიერთი მუშაკი, ცდილობს რა თავისი ინერტულობა, უყირათობა თუ არაკომპეტენტურობა გაამართლოს, იმოწმებს „ობიექტურ მიზეზებს“. რეზერვები არის, მაგრამ ჩვენზე როდია დამოკიდებული მათი სწრაფი ამოქმედებაო. მართალია ასეა? ზუსტ პასუხს გაკცემთ მხოლოდ შესრულების კარგად დაყენებული შემოწმების, ნამდვილი მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე. ასეთი ანალიზი საშუალებას გვაძლევს არა მარტო შევუსწოროთ ხელმძღვანელს, არამედ კიდევაც გამოვავლინოთ ცუდი მუშაობის რეალური მიზეზები, ვუჩვენოთ მათი აღმოფხვრის გზები, დავრაზმოთ ადამიანები სიძნელეთა დაძლევისათვის.

სამწუხაროდ, ყველგან როდი ასრულებენ ამ წესს. სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამუშავდა პროტის საკონსერვო ქარხანა მოლდავეთში, მაგრამ დღემდე მისი საპროექტო სიმძლავრის ნახევარიც არ აუთვისებიათ. საწარმოში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მოწყობილობისა და მანქანების მოცდენები, ხშირად იფუშება საგეგმო დავალებანი. პარტიის ლენინგრადის რაიკომმა არაერთხელ განიხილა ქარხნის საქმეები, მიიღო დადგენილებანი, მაგრამ საქმე არ გაუმჯობესებულა. რატომ? ამ საკითხით დაინტერესდნენ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკები. გამოირკვა, რომ არც ქარხნის პარტიული, არც რაიონული კომიტეტი ჯეროვნად არ სწვდებოდნენ საწარმოს ეკონომიკას, ცოტას მუშაობდნენ კადრების სწავლებისა და აღზრდისათვის, არ მიუთითებდნენ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზებს.

დიდი და მცირე რეზერვების ყაირათიანი გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომითი და მატერიალური რესურსების მომჭირნეობისათვის ზრუნვა კომუნისტების ღვიძლი საქმეა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველგან უნდა გაუმჯობესონ შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო პირობები, ეცადონ მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მშრომელი შეგნებულად მონაწილეობდეს წარმოების ამოცანების გადაწყვეტაში, ნაოლად ხედავდეს პირადი ინტერესებისა და თავისი საწარმოს, მთელი ჩვენი საზოგადოების ინტერესების უწყვეტ კავშირს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებისა და დღესასწაულის დღეებში შევიძინეთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მასებში აღმზრდელობითი მუშაობის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში მილიონობით მშრომელის ჩაბმის საყურადღებო გამოცდილება. ყურადღებით უნდა შევისწავლოთ ეს გამოცდილება, შევიარაღოთ მით ჩვენი კადრები, პარტიული ორგანიზაციები, რათა განვამტკიცოთ და განვავითაროთ ლენინის იუბილეს ალსანიშნავად მიღწეული წარმატებანი.

მშრომელი ადამიანები ჩვენი ქვეყნის, მისი სიმდიდრისა და ბედის ბატონ-პატრონები არიან

კომუნისტთა შეხვედრა ნ. ვ. პოდგორნისთან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველა საბჭოთა ადამიანისათვის დიდი და სასიხარულო მოვლენაა. წელს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულით.

მშრომელები ამყარებენ იმით, რომ ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო გაძლიერდა, რომ კიდევ უფრო გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩეველსადმი მაღალი შეფასება აქვს მიცემული გაწეულ მუშაობას, ნაჩვენებია ის წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა განვლილ ოთხ წელიწადში.

მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის წარმომადგენლები 11 ივნისს შეიკრიბნენ სსრ კავშირის დიდ თეატრში, რათა შეხვედროდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის.**

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის ლენინგრადის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ი. რეპნიკოვმა.** მან განაცხადა, რომ ლენინგრადის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც ყველა მოსკოველი, არჩევნებს ხვდებიან ახალი წარმატებებით უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

მანქანათსამშენებლო ქარხანა „ავანგარდის“, ვოიკოვის სახელობის თუჯსასხმელო ქარხნის, პეტრე ალექსეევის სახელობის წმინდა მაუდის ფაბრიკის, № 16 ავჯრის ფაბრიკის, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტის, ჯვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივების საერთო კრებებზე, თქვა ამხ. რეპნიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს და მხარი დაუჭირეს ლენინგრადის საარჩევნო ოლქში ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის.

□

სიტყვა წარმოთქვა **ნ. ვ. პოდგორნიმ,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ძალიან მიხარია, თქვა მან, რომ ესოდენ დიდი პატივი დამდეს და დამასახელეს ჩვენი დიადი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად.

ნ. ვ. პოდგორნიმ დიდი, გულითადი მადლობა გადაუხადა შრომის წითელდროშოვანი და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ქარხნის „ავანგარდის“, ი. მ. ვოიკოვის სახელობის შრომის წითელდროშოვანი ქარხნისა და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს. ისევე როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ჩემი ამხანაგები, რომლებიც დასახელებული არიან დეპუტატობის კანდიდატებად, ხაზი გაუსვა მან, ამ დიდ პატივს მთლიანად მივაკუთვნებ კომუნისტურ პარტიას და მიმაჩნია იმის ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი ერთ-ერთი ... ...

მშრომელი ადამიანები ჩვენი ქვეყნის, ვრცელი სიმდიდრისა და ბედის ბატონ-პატრონები ამრიგად

(დასასრული)

თანამედროვე ეტაპზე, განაგრძო მან, ჩვენი ეკონომიკის განვითარების დაჩქარების მთავარი ფაქტორი გახდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადაჭრით ამაღლება, მისი ინტენსიფიკაცია. ეს არა მარტო ეკონომიური, არამედ უპირველესი მნიშვნელობის პოლიტიკური ამოცანაა.

ამ პრობლემას პარტია მთელი ქვეყნის, მთელი ხალხის მთავარ ყურადღებას მიაპყრობს. განსაკუთრებული ძალით ამის შესახებ ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე. პარტიამ განსაზღვრა ამ ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებანი და კონკრეტული საშუალებანი.

უწინარეს ყოვლისა ეს არის — უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე. ჩვენს სახელმწიფოს ამისათვის აქვს საკმარო შესაძლებლობანი: მძლავრი მრავალდარგოვანი ინდუსტრია, მუშათა და ინჟინერთა კვალიფიციური კადრები, განვითარებული მეცნიერული ბაზა, შესანიშნავი მეცნიერები.

ჩვენი მიღწევები მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში უდავოა. მაგრამ ცხოვრება მოითხოვს მეცნიერული კვლევის ფრონტის შემდგომ გაფართოებას, მისი განხორციელების ვადების შემცირებას, წარმოებაში კვლევის შედეგების დანერგვის დაჩქარებას. სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ საფუძველზე სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებსაც.

დასახულ ამოცანათა გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა სამეურნეო მშენებლობის ყოველ უბანზე მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა, ის, რომ თვითეულ მუშაკს, თვითეულ ხელმძღვანელს შეგნებული ჰქონდეს თავისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობანი.

პარტიისა და სახელმწიფოს მთელი საქმიანობა, მათი მუშაობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის საბოლოო ანგარიშით ხმარდება ერთ-ერთი ჩვენი საპროგრამო ამოცანის — საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების — გადაწყვეტას. კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ხუთწლედის დავალებანი ამ დარგში სრულდება. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ოთხი წლის მანძილზე 26 პროცენტით გაიზარდა.

ფართო მასშტაბით წყდება ბინებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა. საბინაო მშენებლობის მოცულობითა და ტემპებით ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მარტო ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ქალაქებსა და დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 400 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აქვე უნდა მოგაგონოთ, რომ 1940 წელს ქვეყნის მთელი საქალაქო საბინაო ფონდი შეადგენდა 421 მილიონ კვადრატულ მეტრს. მოსკოვის საბინაო ფონდი ოთხი წლის მანძილზე თითქმის მესამედით გაიზარდა, ამის შედეგად ორ მილიონამდე კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების კურსი კვლავაც მტკიცედ და თანმიმდევრულად განხორციელდება.

დიადი თაოსნობის ტრადიციები, ხაზი გაუსვა ორატორმა, მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავმა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებამ უდიდესი როლი შეასრულა ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, მრეწველობის მუშაობის შედეგები საფუძველს გვაძლევს უკვე ახლა ვთქვათ, რომ 1970 წელს წარმოებული იქნება მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე მთელი ომამდელი ხუთწლედების მანძილზე.

ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მყარ ბაზას ქმნის. ახლა მუშავდება ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითად მიმართულებათა პროექტი. ახალი ხუთწლედი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კომუნიზმის გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში, თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ, თანმიმდევრულად ხორციელდებოდა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი სოციალისტური დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარების. საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების შესახებ.

მშრომელთა აქტიური მონაწილეობის რეალური შესაძლებლობანი საზოგადოების ცხოვრების ძირეულ საკითხთა გადაჭრაში შექმნა ოქტომბრის რევოლუციამ, ახლმა სახელმწიფომ, მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ.

საბჭოთა სახელმწიფო დღეს გამოდის როგორც ხალხის ყოვლისმომცველი პოლიტიკური ორგანიზაცია. ჩვენი სახელმწიფო მძლავრი შემოქმედებითი ძალაა, მაორგანიზებელი საწყისია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც ჩვენში მთელი ხალხის, თვითეული საბჭოთა ადამიანის საქმე გახდა. ხალხის ფართო მასები აქტიურად ებმებიან ქვეყნის, მთელი საზოგადოების საქმეების მართვაში. ჩვენი საზოგადოების სოციალისტური დემოკრატიზმი საუკეთესოდ განსახიერებულია საბჭოებში — ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველში, ხელისუფლების ნამდვილად წარმომადგენლობითს ორგანოებში.

დღეს საბჭოებში ხალხის ორ მილიონზე მეტი რჩეულია — ესენი არიან მუშები და კოლმეურნეები, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სწორედ შრომის ადამიანები არიან ჩვენი ქვეყნის, მის სიმდიდრეთა და ბედის ბატონ-პატრონები!

ამაზე მეტყველებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა ახლანდელი შემადგენლობა. მათ შორის ნახევარზე მეტი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები არიან. კანდიდატთა შორის არიან მეცნიერები და მწერლები, ინჟინრები და აგრონომები, ექიმები და მეომრები, მასწავლებლები, მრეწველობის ორგანიზატორები.

საბჭოთა კავშირი — ეს თანამეგობრობაა მოძმე ხალხებისა, რომელთაგან თვითეულს შეაქვს თავისი წვლილი კომუნისტური მშენებლობის საქმეში. ასზე მეტი ერი და ეროვნება წარმოდგენილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. სოციალისტურმა წყობილებამ უზრუნველყო ყველა ხალხის თანასწორობა, მათი სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა. უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის თითქმის მესამედს ქალები შეადგენენ.

ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია თაობათა ერთიანობა, რომელნიც აქტიურად თანამშრომლობენ კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა ახალგაზრდობა დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ცხოვრებაში, ფართოდ მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

ნახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა მოქალაქე ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი დეპუტატობის კანდიდატებიდან 280-ზე მეტი კაცი 30 წლამდე ასაკისაა. მათ უფროსი თაობის ადამიანებთან ერთად უნდა გადაჭრან რთული სახელმწიფო ამოცანები.

ახალგაზრდა თაობა ჩვენში დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით არის გარემოსილი. ამას ერთხელ კიდევ მოწმობს ის, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებსა და ადგილობრივ საბჭოებში შეიქმნა ახალგაზრდობის საქმეთა კომისიები. ეს კომისიები ხელს უწყობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მეცადინეობის გაერთიანებას ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საკითხების გადაჭრაში.

სოციალისტური დემოკრატიის განვითარება ამ წლებში მიმდინარეობდა საბჭოების, მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციის, აგრეთვე შრომითი კოლექტივების როლის შემდგომი გადიდების გზით. უმჯობესდება სახელმწიფო აპარატის მუშაობა, ძლიერდება სახალხო კონტროლი მისი საქმიანობისადმი.

საბჭოების როლის ამაღლებაში, მათი მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში, რომელიც ამჟამად ყველგან აღინიშნება, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს. საბჭოები მთავარ ყურადღებას აქცევენ თავიანთი მუშაობის შინაარსის გაღრმავებას, განსახილველ საკითხთა არსებითს გაფართოებას, აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისადმი კონტროლის გაძლიერებას, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაციას იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან.

საბჭოები უფრო სრულად გამოიყენებენ ამიერიდან თავიანთ უფლებამოსილებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში. მათს მუშაობაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება გახდა ეკონომიკა. მაგალითად, შარშან ადგილობრივი საბჭოების სესიაზე განხილული საკითხების მეოთხედს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკრეტული საკითხები შეადგენდა.

საბჭოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებას — ხალხის კულტურის, მისი განათლებისა და სულიერი დონის ამაღლებას.

ჩვენი პარტია მტკიცედ და მიზანსწრაფულად წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას — ახალი ადამიანის — კომუნიზმის აქტიური მშენებლის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მტკიცე ინტერნაციონალისტის, კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლის აღზრდის პრობლემას. საბჭოების ვალია კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ პასუხსაგებ მუშაობაში.

უკანასკნელ წლებში ვითარდებოდა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყველა მხარე: საკანონმდებლო მუშაობა, კონკრეტული ფუნქციების განხორციელება, ეკონომიური, სოციალურ-კულტურული და სახელმწიფო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა.

ამას ხელი შეუწყო იმან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა უმაღლესი საბჭოს პალატების ახალი მუდმივი კომისიები სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირითად დარგებში. ამჟამად კომისიების შემადგენლობაში დეპუტატების დაახლოებით ნახევარი შედის.

გამოხატავენ რა მთელი ხალხის ნებას, საბჭოთა კანონები ემსახურებიან კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, საიმედოდ იცავენ სოციალისტურ წყობილებას. ისინი მოქმედებენ მართვის ფართო სფეროში, აერგულირებენ სამეურნეო კავშირს, მოქალაქეთა ქონებრივ და პირად ურთიერთობას. ამასთან ჩვენი კანონები სჯიან იმათ, ვინც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ხელყოფს მოქალაქეთა უფლებებს, ანიავებს სახელმწიფო ქონებას, ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას.

საბჭოთა კანონები აქტიურად უწყობენ ხელს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, კომუნისტური შეგნების ჩანერგვას.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონები მიწის, ჯანმრთელობის დაცვის, ქორწინებისა და ოჯახის, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ და მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები. ძირითადად დამთავრდა შრომის კანონის პროექტის მომზადება, მუშავდება სხვა კანონპროექტებიც. კანონმდებლობის დარგში მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკებში. თვითეული საბჭოთა კანონი — ეს არის დიდი და გულმოდგინე მუშაობის შედეგი.

საბჭოთა დემოკრატიისათვის დამახასიათებელია ხალხთან სახელმწიფოს მუდმივი და მრავალმხრივი კავშირი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია დეპუტატთა განუყოფელი კონტაქტი ამომრჩევლებთან. ბევრი მოქალაქე პირადად ან წერილობით მიმართავს სახელმწიფო ორგანოებს.

საბჭოთა ადამიანები ბევრ წერილში აქტიურად ეხმაურებიან ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარ ამბებს, გამოთქვამენ სურვილებს, კონკრეტულ წინადადებებს, ისინი დიდ მზრუნველობას იჩენენ საქმეებისათვის.

რა თქმა უნდა, მოდის ბევრი წერილი პირადი თხოვნით, ჩივილით. მათი სწორად გადაჭრა, მოქალაქეთა მიერ აღძრული საკითხების განზოგადება ხელს უწყობს საჩივრების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, კანონიერების განმტკიცებას. ამრიგად, წერილებს, რომლებიც თითქოს პირად საქმეებს ეხება, საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

პარტიამ და სახელმწიფომ, რომლებიც ყველა ორგანიზაციისაგან, ყველა თანამდებობის პირისაგან მოითხოვენ უაღრესი ყურადღებით მოეკიდონ მოქალაქეთა წერილებსა და პირად მიღებას, დაადგინეს წერილებზე მუშაობის ზუსტი წესი, მკაცრ კონტროლს უწევენ მას.

საზოგადოების კეთილდღეობისათვის საბჭოთა ადამიანების დიდი ზრუნვის გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითია მათი შეურიგებლობა ჩვენი ბუნების სიმდიდრეების მიმართ დაუდევარი, ხშირად მფლანგველური დამოკიდებულებისადმი, მათი წინადადებანი, რომ საჭიროა გაუფრთხილდნენ. უფრო რაციონალურად გამოიყენონ მიწები, ტყეები, წყლები. მარტო მიწის კანონის პროექტის განხილვის დროს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ათასობით ასეთი წინადადება და შენიშვნა. ბევრი წერილი უკვე მიღებულია წყლის კანონმდებლობის საფუძვლების ახლახან გამოქვეყნებული პროექტის თაობაზე. საზოგადოებრიობის სურვილის გათვალისწინებით წარმოებს მუშაობა ტყეებისა და წიაღის შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტებზე. ეს არის ნაწილი საბჭოთა ადამიანების, მთელი ჩვენი საზოგადოების ღელვანდელი ზრუნვისა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ქვეყნის ბუნებრივი რესურსების დაცვასა და გამრავლებაზე.

ბუნება მარტო ციმბირის ტყეები, ვოლგა, ბაიკალი როდია. ქალაქების მრავალი მცხოვრებისათვის, მაგალითად, ეს არის, უწინარეს ყოვლისა ის, რაც ყოველდღიურად მათ გარშემოა, — მწვანე ეზოები და საცხოვრებელი უბნები, პარკები, სკვერები, ბულვარები.

საბჭოთა ადამიანებისათვის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების კარგი პირობების შექმნა საბჭოების, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს დიდი, სოციალური ამოცანაა. ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტრანსპორტის, საწარმოთა ზუსტი მუშაობის ორგანიზაცია, კეთილმოწყობა და გამწვანება.

წყვეტს რა კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს, საბჭოთა სახელმწიფო მრავალი მიმართულებით მუშაობს. ივი გეგმიანად ავითარებს სოციალისტურ მეურნეობას, ახორციელებს ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის გაუმჯობესების ღონისძიებებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვის საიმედო იარაღია. საბჭოთა სახელმწიფო იმპერიალისტური აგრესიის საფრთხისაგან ყველა ჩვენი მონაპოვრის დაცვის გარანტიაა.

შემდგომი კომუნისტური მშენებლობა განსაზღვრავს სახელმწიფოს თანმიმდევრული განმტკიცების, მისი საქმიანობის ყველა მხარის სრულყოფის საჭიროებას, მისი საქმეების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობას, სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებას. „...რაც უფრო დიდია, რაც უფრო პასუხსაგებია ახალი ისტორიული ამოცანა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მით უფრო მეტი უნდა იყოს ადამიანები, რომელთა მილიონები უნდა ჩაებათ ამ ამოცანების გადაჭრაში დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის“.

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფა კამპანიის ხასიათისა როდია. იგი პარტიას მიაჩნია ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური განვითარების მთავარ მიმართულებად.

მაგრამ ჩვენ იმედი უნდა გავუცრუოთ ზოგიერთ ვინმეს საზღვარგარეთ, რომლებსაც ძალიან უყვართ „რეცეპტების“ შეთხზვა ჩვენი შემდგომი განვითარების გზების შესახებ. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ გამოიყენებს ამ „რეცეპტებს“, არ გადაუყვანინებს თავს ბურჟუაზიული დემოკრატიზმის რელსებზე.

საბჭოთა დემოკრატია ჩვენი ხალხის დიადი ისტორიული მონაპოვარია. საბჭოთა დემოკრატიით ჩვენ ვამაყობთ, იგი უნდა განმტკიცდეს და განვითარდეს.

თავის სიტყვაში ნ. ვ. პოდგორნიმ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა ხორციელდება ხალხის სახელითა და ხალხის ინტერესებისათვის, გამოხატავს მის განუხრელ მისწრაფებას მშვიდობისადმი, თქვა მან. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი ახლანდელ ეტაპზე განსაზღვრა პარტიის XXIII ყრილობამ. ჩვენი სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის კონკრეტული პროგრამა შემდეგ ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, იგი მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ თავის პირველ სესიაზე 1966 წლის აგვისტოში.

თუ საერთოდ ვილაპარაკებთ მსოფლიო განვითარებაზე ამ ბოლო ოთხ წელიწადში, კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ სულ უფრო იცვლება სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის სასარგებლოდ.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, ისევე როგორც წინათ, იყო სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცება. სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობას საფუძვლად დაედო პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური სოლიდარობის პრინციპები. სოციალისტურ სახელმწიფოთა მჭიდრო კავშირი და ძმობა განმტკიცდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ორმხრივი ხელშეკრულებებით. ასეთი სახის ახალი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ამ დღეებში რატიფიცირებული ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

სულ უფრო ეფექტიანი და მრავალმხრივი ხდება სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობა. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოძმე ქვეყნების ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცება, მათი საგარეოპოლიტიკური მოქმედების შეთანხმება და კოორდინაცია.

ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაზე, ნ. ვ. პოდგორნიმ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები პეკინელ ლიდერებს არ აიგივებენ მთელ ჩინელ ხალხთან. ჩვენ განუხრელად და თანმიმდევრულად ვიღწვით ჩინელ ხალხთან მეგობრობისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სახელმწიფო ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განვითარებას ქვეყნებთან თანამშრომლობას. ბევრ მათგანთან ვგაქვს საერთო ან დაახლოებული პოზიციები მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებში. ვავითარებთ რა თითქმის 70 ასეთ სახელმწიფოსთან ურთიერთსასარგებლო საფუძველზე სავაჭრო ურთიერთობას, ვახორციელებთ რა მეცნიერულ-ტექნიკურ გაცვლასა და ურთიერთობას განათლების, კადრების მომზადების დარგში, ჩვენ ვეხმარებით მათ განამტკიცონ თავიანთი ეროვნული ეკონომიკა და კულტურა, შევუქმნათ ამით მტკიცე საფუძველი მათს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან კონტაქტებისა და ურთიერთობის დამყარებას. ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყანასთან სსრ კავშირის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია, რომ ეს ურთიერთობა სულ უფრო გრძელვადიან საფუძველზე ხორციელდება, ხანგრძლივი პერიოდისათვის იგეგმება. იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, რომლებსაც ეს სურთ, მზად ვართ შეთანხმებულად ვიმოქმედოთ მშვიდობისათვის და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის ბრძოლის საკითხებში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ თანამშრომლობას შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგები, ცალკეულ კონკრეტულ, ზოგჯერ რთულ, პრობლემებზე შეთანხმების მიღწევა. მაგალითად, საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ბეჯითი მეცადინეობის მეოხებით დაიდო ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

საგარეოპოლიტიკური საქმიანობის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პირადი კონტაქტები მაღალ დონეზე. მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში სოციალისტური ქვეყნების პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყვნენ 20-ზე მეტი კაპიტალისტური და განვითარებადი სახელმწიფოს მეთაურები. უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ხელმძღვანელთა კონტაქტების მნიშვნელოვანი გაფართოება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ გაიზარდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის დაინტერესება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარებითა და განვითარებით, მოწმობს მისი დიდი ავტორიტეტისა და გავლენის აღიარება.

სპეციფიკური ხასიათი აქვს საპარლამენტო დელეგაციების ურთიერთგაცვლას. პარლამენტებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშვიდობის ბედისათვის, სწორედ მათ ეკუთვნის უფლება მიიღონ საკანონმდებლო აქტები ომისა და მშვიდობის საკითხებზე. ამიტომ პარლამენტების, მათი დეპუტატების ურთიერთობა ხელს უწყობს ომის, რომ ეს ძირეული საარსებო საკითხები გადაიჭრას ხალხების ნების, მშვიდობისადმი, მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი მათი მისწრაფების შესაბამისად.

განვლილ ოთხწლეულში საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 37 საპარლამენტო დელეგაცია და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 24 დელეგაცია იყო საზღვარგარეთ. მომძმე ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლების ურთიერთ ვიზიტები ხელს უწყობს ჩვენი ერთიანობის განმტკიცებას, იძლევა სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გაცნობის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებზე აზრთა ურთიერთგაზიარების შესაძლებლობას. აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან საპარლამენტო ურთიერთობა ხელს უწყობს ამ ქვეყნებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გაფართოებას.

ბურჟუაზიული პარლამენტარების მიერ საბჭოთა სინამდვილის, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის უშუალო გაცნობა ხელს უწყობს არასწორი, დამახინჯებული წარმოდგენების დაძლევას, ჩვენი ქვეყნის მიმართ უფრო რეალისტური მიდგომის გამოვლინებას.

საბჭოთა კავშირი კვლავაც აქტიურად და თანმიმდევრულად განახორციელებს თავის საგარეოპოლიტიკურ კურსს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლანდელი დაძაბული საერთაშორისო ვითარების პირობებში.

ვიეტნამის ომის ცეცხლს, რომელიც მძვინვარებს რამდენიმე წელია, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ავრცელებენ ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებზე. ამერიკისა და საიგონის ჯარების შეჭრა ნეიტრალურ კამბოჯაში, მათ მიერ სამხრეთ ვიეტნამში საბრძოლო შეტაკებათა მასშტაბების გაფართოება, ამერიკელთა მონაწილეობა ლაოსში საომარ მოქმედებაში — ყოველივე ეს იწვევს სამართლიან გულისწყრომას მსოფლიოში, აგრესორებისადმი მზარდ წინააღმდეგობას. საბჭოთა კავშირი მტკიცედ დგას ვიეტნამის ხალხისა და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების მხარეზე, საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს მათ.

საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს მწვავე ვითარება ახლო აღმოსავლეთშიც. ისრაელი ექსტრემისტები იმპერიალისტი მფარველებისა და საერთაშორისო სიონისტური წრეების მხარდაჭერით განაგრძობენ თავიანთ ავანტიურისტულ კურსს. მაგრამ გათავხედებულმა ისრაელმა მოღვაწეებმა დროა შეიგნონ, რომ ომის გზებით ისრაელი ვერ უზრუნველყოფს თავის უშიშროებას.

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები იღვწიან ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციის შესაბამისად, ამ რაიონის ყველა ხალხის ინტერესებისათვის. ჩვენ კვლავაც საჭირო დახმარებას გავუწევთ არაბულ ქვეყნებსა და ხალხებს— იმპერიალიზმის ხრიკებისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ დიდ რაზმს.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავ უდიდეს ყურადღებას უთმობენ ვითარებას ევროპის კონტინენტზე. სწორედ აქ კვლავ იჩენენ აქტივობას დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეები. მაგრამ სავსებით ცხადი უნდა იყოს, რომ რევანშისტული პრეტენზიები ვერასოდეს ვერ შესრულდება. საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იხელმძღვანელებს ევროპაში შექმნილი რეალური მდგომარეობით.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვითარებაზე ამ ბოლო დროს უფრო აქტიურად ახდენენ გავლენას ის ძალები, რომლებიც მდგომარეობას უფრო ფხიზელი თვალითა და უფრო რეალისტურად უყურებენ, რომლებიც თანდათან ხვდებიან, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალი მილიტარიზმისა და რევანშის გზა როდია. იმედია ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ საჭიროა უფრო საღად და რეალისტურად შეეფასონ ევროპაში შექმნილი მდგომარეობა, ევროპის უშიშროების ინტერესები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალი განვითარება. ჩვენ ვითვალისწინებთ ამას, მტკიცედ ვიცავთ ჩვენს პრინციპულ პოზიციებს და ასე ვუდგებით აზრთა ურთიერთგაზიარებასაც, რომელიც ამ ბოლო დროს მიმდინარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან.

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ ევროპაში დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცების, მთელი კონტინენტის სახელმწიფოებს შორის სასარგებლო თანამშრომლობის მოგვარების ღონისძიებებს. ამ მიზნებს ემსახურება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ მომძმე სოციალისტური ქვეყნების ფართოდ ცნობილი წინადადებებიც.

ჩვენი სახელმწიფო სამართლიანად ითვლება მშვიდობის მედროშედ. არ არის უფრო ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილება, ვიდრე სოციალიზმი, რომელიც უარყოფს ომს, როგორც საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალებას. მაგრამ ნურავის ნუ ეგონება, თითქოს ჩვენი სახელმწიფო მზად არ იყოს, თუ საჭირო გახდება, დაიცვას საბჭოთა ხალხის მონაპოვარნი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ძალონესა და სახსრებს არ ზოგავენ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განსამტკიცებლად. შეიარაღებული ძალები საიმედო ფარია, და თუ საჭირო გახდა, შემმუსრავი მახვილიც არის იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელყოფს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. რამდენად ბასრია ეს მახვილი, ამაში კარგად დარწმუნდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა: კომუნისტური პარტია, ისევე როგორც წინათ, არჩევნებზე გამოდის უპარტიოებთან ერთიანი ბლოკით. ეს კარგი ტრადიცია პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. პარტიას თავის უმაღლეს მიზნად და თავის ისტორიულ მოწოდებად მიაჩნია ერთგულად ემსახუროს მშრომელთა ინტერესებს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები კვლავ მკაფიოდ გვიჩვენებს კომუნისტური პარტიის გარშემო ხალხის მჭიდრო შეკავშირებას, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საყოველთაო-სახალხო მოწონებას.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს და აპლოდისმენტებით გაცისკროვნდა ტაში (სკდენა).

კომუნისტი

№ 2 (3327)

პარასკევი, 12 ივნისი, 1970 წ.

საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური საფუძველი მშრომელთა დეპუტატების საბჭოებია. როგორც წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, ისინი შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ერთიან სისტემას, რომელთა სათავეში იმყოფება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, მთელი ხალხის სუვერენიტეტს გამოხატავს და წყვეტს ხაზინაო ცხოვრების და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. თავის უფლებამოსილებას უმაღლესი საბჭო განახორციელებს უმაღლესი ძალაუფლებით. ეს ძალაუფლება ხორციელდება სსრ კავშირის ეროვნული ეკონომიკური ცხოვრების, თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. კანონმდებლობის უფლება აქვთ აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შესაბამისი რესპუბლიკების ფარგლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს განსაზღვრული ადგილი უჭირავს და უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს ყველა სხვა სამართლებრივი ხასიათის აქტების წინაშე, რომელსაც დანარჩენი სახელმწიფო ორგანოები გამოსცემენ. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ეს აქტები კანონს უნდა შეესაბამებოდნენ, მას არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მის შესრულებას უნდა უწყობდნენ ხელს. სხვა შემთხვევაში ისინი გაუქმებულად ჩაითვლებიან. თვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის გაუქმება არცერთ ორგანოს არ შეუძლია, გარდა თვით უმაღლესი საბჭოსი.

თავისი მნიშვნელობისა და ხასიათის მიხედვით უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტები იყოფა კონსტიტუციურ ანუ ძირითად და მიმდინარე ანუ ჩვეულებრივ კანონებად. კონსტიტუციურ კანონმდებლობაში იგულისხმება თვით კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილება-დამატებათა შეტანა. ამ ძირითადი კანონებით წესდება ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები, სახელმწიფო ორგანოთა შექმნისა და საქმიანობის მთავარი პრინციპები, მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები, საარჩევნო სისტემის პრინციპები. ჩვეულებრივი კანონებით, რომლებსაც უმაღლესი საბჭო კონსტიტუციის შესაბამისად გამოსცემს, რეგულირდება სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა საკითხები. მათ კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მეტი იურიდიული ძალა აქვთ სხვა ორგანოების მიერ გამოცემული აქტების მიმართ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონს თავისი წამოვიანი ადგილისა და მნიშვნელობის გამო სახელმწიფოს სხვა ორგანოთა აქტებს შორის მიღების და გამოცემის თავისებური, განსაკუთრებული წესი ახასიათებს.

საკანონმდებლო პროცესის დასაწყისად ითვლება კანონპროექტის შეტანა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში განსახილველად. ამა თუ იმ ორგანოსა თუ ცალკეული პირის უფლებას კანონის მიღების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ისეთი წინადადების შეტანას, რომელიც არსებითად უნდა განიხილოს უმაღლესმა საბჭომ და მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, — საკანონმდებლო ინიციატივა ეწოდება. ასეთი უფლებით სარგებლობენ თვით უმაღლესი საბჭოს ორივე პალატა — კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფები და ცალკეული დეპუტატები, ორივე დასახელებული პალატის მუდმივი კომისიები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო და მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

მომავალში, როგორც პარტიის პროგრამით არის გათვალისწინებული, ფართოდ იქნება გამოყენებული არა მარტო საყოველთაო-სახალხო განხილვები, არამედ მოეწყობა რეფერენდუმებიც, ე. ი. უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების გამოტანა საყოველთაო-სახალხო კენჭისსაყრელად. რეფერენდუმი განხხვავდება სახალხო განხილვისაგან იმით, რომ იგი გულისხმობს ხალხის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას, საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ კენჭისყრის გზით თავიანთი დამოკიდებულების გამოხატვას კენჭისსაყრელად გამოტანილი კანონპროექტის მიმართ ან გადასაწყვეტად დასმული სხვა საკითხის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებაში დიდი როლი ენიჭებათ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივ კომისიებს, როგორც ამ პალატების დამხმარე და მუდმივად მოქმედ ორგანოებს. მათს დანიშნულებას შეადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტების თაობაზე დასკვნების მიცემა და საჭირო შემთხვევებში შესწორებების შეტანა. ამავე დროს მათ შეუძლიათ საკუთარი ინიციატივითაც წარადგინონ კანონპროექტები, ე. ი. განახორციელონ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

სკკპ XXIII ყრილობის მითითებათა შესაბამისად სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველსავე სესიაზე 1966 წლის აგვისტოში მოსდა მუდმივი კომისიების სისტემის მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია და სრულყოფა. თვითეული პალატასთან შეიქმნა ათ-ათი მუდმივი კომისია სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირითადი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, ხოლო 1968 წელს ორივე პალატასთან შეიქმნა ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისია.

მუდმივ კომისიებს უმაღლესი საბჭოს პალატები ირჩევენ მხოლოდ დეპუტატთა წრიდან თვითეულ კომისიაში 31, 41 ან 51 კაცის რაოდენობით. მუდმივი კომისიების წევრებად, მათი დებულების თანახმად, არ შეიძლება იყვნენ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, სსრკ გენერალური პროკურორი.

ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიების წევრებად არჩეულია 762 დეპუტატი. კანონთა პროექტებისა და დასკვნების შემუშავების პროცესში კომისიებს უფლება აქვთ მოსთხოვონ ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს საჭირო მასალები და ცნობები. საკითხების უფრო ღრმად შესწავლის მიზნით კომისიები კონსულტანტებად იწვევენ მეცნიერ მუშაკებს და სხვა სპეციალისტებს მეურნეობის, კულტურისა და მმართველობის დარგებიდან. კომისიის სხდომებზე იწვევენ აგრეთვე საზოგადოებრივობისა და პრესის წარმომადგენლებს. მუდმივი კომისიები ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან უმაღლესი საბჭოს შესაბამისი პალატების წინაშე, ხოლო სესიათა შორის პერიოდში მათი მუშაობის კოორდინაციას ასდენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

კანონის გამოყენების, მისი შეფარდების პროცესში ზოგჯერ შესაძლებელია წარმოიშვას მისი განმარტების ანუ შინაარსის ოფიციალური გარკვევის საჭიროება. ასეთ შემთხვევაში სსრ კავშირის კონსტიტუციის მიხედვით მოქმედ კანონთა განმარტების უფლება ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. რა თქმა უნდა, ყველა ორგანოსა და კერძო პირსაც შეუძლია საკუთარი ახსნა-განმარტება მისცეს ნებისმიერ კანონს, მაგრამ მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადწმარტებას ექნება ზოგად-სავალდებულო ძალა და ასეთი განმარტება სახელმძღვანელო უნდა გახდეს ყველა სათვის, ვინც კი კანონის საფუძველზე მოქმედებს.

საბჭოთა კანონმდებლობის მაღალი იდეურობა და შემოქმედებითი ძალა განისაზღვრება ჰირველყოვლისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლით. ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ხორციელდება. ცნობილია, რომ სწორედ პარტიის დირექტივებისა და წინადადებათა შესაბამისად განიხილება ხდმე უმაღლესი საბჭოს მიერ საზელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კომუნისტის მშენებლობის პროცესში სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის როლის ამაღლება განაპირობებს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას სამართლებრივი აქტების, კანონების შედგენის, განხილვის, მიღებისა და ცხოვრებაში გატარების საქმეში.

უდავოა, რომ ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები აირჩევენ 14 ივნისს, თავის ქვეშ შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის პერიოდისათვის შესაფერისი საკანონმდებლო აქტების შექმნაში.

გ. ინწკირველი,
პროფესორი.

მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური ბიბლიოთეკა

ჩიკაგოსკის სახელობის კონკურსზე უველაფერი თავის რიგზე მიდის. ოთხშაბათს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში დაიწყო მომღერალთა შეჯიბრება. წილისყრამ ისე განსაზღვრა, რომ პირველ დღეს აქ გამოდიოდნენ მხოლოდ მომღერალი ქალები — ბულგარეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხელოვნების წარმომადგენლები. საბჭოთა მომღერალმა ევდოკია კოლესნიჩოკოვამ თავის საკონკურსო დენიუტის პროგრამაში შეიტანა ჰენდელის, ვერდის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები, აგრეთვე უკრაინული ხალხური სიმღერა. მისი გამოსვლა ძალზე მოეწონათ მსმენელებს; თითქოს კონკურსის სპეციფიკა დავიწყესო, ისინი დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან ახალგაზრდა კიეველ მომღერალს.

ეუდოკია მოსკოვში კონკურსში მონაწილე თავის კოლეგებზე გაცილებით ადრე ჩამოვიდა. იგი მონაწილეობდა კომკავშირის 16 ყრილობაში, სადაც ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს.

□

ხსოვნა მეცნიერისა

პროფესორ კ. ამირაჯიბის დაბადების 100 წლისთავი

შესრულდა ქართული სოფლის მეურნეობის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის პროფესორ კ. მ. ამირაჯიბის დაბადების 100 წლისთავი.

10 ივნისს ასობით ადამიანმა — ახალგაზრდამ და მხცოვანმა, ცნობილმა მეცნიერმა და ახალგაზრდა მკვლევარმა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკმა, კულტურის მოღვაწემ — პატივისცემით აღნიშნა ქართველი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილის ხსოვნა. დილით მეგობრები, მრავალრიცხოვანი მოწაფეები, ნათესავები ყვავილებით მივიდნენ დიდუბის პანთეონში, სადაც კ. ამირაჯიბი განისვენებს. შემდეგ კრილოვის ქუჩის ერთ-ერთ სახლზე, სადაც უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა მეცნიერი, გაიხსნა მემორიალური დაფა.

12 საათზე საქართველოს კ. მ. ამირაჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მეცნიერის ძეგლის გახსნას.

შესავალი სიტყვით მიტინგი გახსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ. ფალავანდიშვილმა. შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლელაშვილმა აბრეშუმის საბურველი ჩამოხსნა კ. მ. ამირაჯიბის ძეგლს.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ილაპარაკეს დაუცხრომელ მშრომელ მეცნიერზე მისმა ყოფილმა მოწაფეებმა — საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა შ. ხანთაძემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგემ პროფესორმა მ. გუგუშვილმა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგემ პროფესორმა ს. ჩოჩიამ, საქართველოს სასწავლო-კვლევითი ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის კათედრის გამგემ პროფესორმა ა. კიზირიძემ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა გ. ჩუბინიძემ წაიკითხა უნგრეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის წერილი.

10 ივნისს საღამოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა კ. მ. ამირაჯიბის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. მახალდიანმა გაკვეთა მოხსენება კ. მ. ამირაჯიბის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მოგონებანი კ. ამირაჯიბის საინტერესო ლექციებზე, სტუდენტებთან ურთიერთობაზე დამსწრეთ გაუზიარეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ი. ხიხლოვმა და გ. შხვაცაბაიამ, პროფესორმა შ. კვრესელიძემ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. მეტრეველმა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ი. ხარაშვილმა აღნიშნეს, თუ რა წვლილი შეიტანა მეცნიერმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის საქმეში, საქართველოში აგრობიოლოგიური მეცნიერების შექმნასა და განვითარებაში.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ კ. მ. ამირაჯიბის ნათესავს საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ც. ამირაჯიბს. კ. მ. ამირაჯიბის მშობლიური სოფლის ავლევის მცხოვრებთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ქარელის რაიონმსაკომის თავმჯდომარემ შ. კოპაძემ.

ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნის საუკეთესო პატივისცემაა სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარება, თანამედროვე თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანების გადაწყვეტა, ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შექმნა. (საქდესი).

ავტოსატვირთავი შემთხვევები

ყურადღება: ადამიანები!

წლევანდელი წელი ყველაზე ტრაგიკულია რესპუბლიკის ავტომობილისტებისათვის, და მართალი არიან სტატისტიკოსები, რომლებმაც გამოიანგარიშეს, რომ ავტოკატასტროფების დროს ახლა უფრო მეტი ხალხი იხოცება, ვიდრე ყველაზე საშიში დაავადებებით, როგორიცაა კიბო, ტუბერკულოზი, გულისა და სისხლძარღვების დაავადება, და რომ მიწისქვეშა ტრანსპორტი გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე საჰაერო.

აი რამდენიმე მაგალითი, რომელიც ადასტურებს სავალალო სტატისტიკას.

დუშეთის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი იური გვაზავა მასზე გაპირვებული ტაქსით გრტ № 13-39 უნებართვოდ წავიდა პირად საქმეზე ხაშურში. აქ მან ბანქანაში ჩასვა ცოლი, 10 წლის ვაჟი-შვილი, სიმამრი და ორი მისი მეგობარი.

ხაშურში თავისი ახლობლების დაბრუნება ოჯახის მამამ დაგვიანა თავის კოლეგას ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტობუსის მძღოლს იოსებ ნანობაშვილს. ტაქსი, რომელიც 21 საათზე გარაჟში უნდა ყოფილიყო, საათნახევრის შემდეგ დიდი სიჩქარით მიჰქროდა საქართველოს სამხედრო გზის ოცდაშვიდთორმეტე კილომეტრზე ნატასტარის რაიონში. აქ მოხდა უბედურება. ტაქსი ჯერ დაეჯახა გზაზე მდგარ სატვირთო ავტომანქანას, შემდეგ მისკენ მომავალ „ხაპოროჟეცს“. ხუთი მგზავრი ადგილზე დაიხოცა.

მძღოლი ი. ნანობაშვილი მიიმალა, მაგრამ თვითონ დაშავებული იყო და იძულებული გახდა ექიმებისათვის მიემართა. იგი დაკავეს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

უაღრესად საჩვენებელია ხაჩიერის რაიონში მომხდარი ავტოკატასტროფაც. დღის სამ საათზე სოფელ ჩხის მახლობლად გზაზე ჩაიქროლა გრნ 11-72 ნომრის გზა-51-მა, რომელიც ეკუთვნოდა ჯავის რაიონის სოფელ სინაგურის კოლმეურნეობას და მართავდა მძღოლი ვასილ გაგიევი.

კაბინაში, მძღოლის გარდა, იყო კიდევ ორი მგზავრი — ქალი და სინაგურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიქტორ ცხოვრებოვი. ამ უკანასკნელმა არათუ ნება მისცა მთგრალ მძღოლს მისჯდომოდა საგზეს, არამედ თვითონ მესამე ჩაჯდა კაბინაში და ხელიც არ შეუშლია მანქანის ასეთი სიჩქარით ტარებისათვის, აგარიის მიზეზები საკმარისი იყო.

ასეც მოხდა. მანქანა გადაბრუნდა. ძარაში მჯდომი სამი მგზავრი დაიღუპა, მეოთხე ძლიმედ დაშავდა.

და ბოლოს, სარეისო ავტობუსი, რომელიც გაგრიდან აღლერის მიმართულებით მიდიოდა და რომელსაც რეზო ჟორჟოლაძე მართავდა, გადაიჩეხა 65-მეტრიან ხრამში. რვა ოჯახი დამგლოვიარდა, ათობით ადამიანმა მიიღო ტრავმა. ამ ტრაგედიის მიზეზების გამოსაძიებლად შეიქმნა სპეციალური კომისია.

სამწუხაროდ, ამ მაგალითებით არ ამოიწურება რესპუბლიკის გზებზე მომხდარი უბედური შემთხვევები.

მაგრამ, თუ დავუბრუნდებით დუშეთის ტრაგედიას, უყოყმანოდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ ავარიისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივი ავტომეურნეობის ხელმძღვანელებს. როგორც რესპუბლიკური ავტოინსპექციის მუშაკთა მიერ შესრულებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, დუშელ მძღოლთა დისციპლინა ძალიან დაბალ დონეზეა. ამის შედეგია — შრომითი განაწესის დარღვევა, ავარიები...

ავტოსატვირთავი შემთხვევების პრობლემა ძალიან გამწვავდა. თვითონ ამსჯელეთ: უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე 1.662 ავარიის დროს დაიღუპა 562 კაცი. წელს დაღუპულთა ციფრმა 270-ს გადააჭარბა, 1.138 მგზავრმა და ქვეითად მოსიარულემ მძიმე ტრავმა მიიღო.

როგორ უნდა ვუცქიროთ გულგრილად, როცა იღუპებიან ბავშვები, ცოლები კარგად ვენ საყვარელ ადამიანებს, დედები — ქალიშვილებსა და ვაჟიშვილებს. მარტო პირველ კვარტალში ავტოკატასტროფების დროს დაიღუპა 17 ბავშვი, 52 ბავშვი ხვიბარი დარჩა. რით შეიძლება ამ დანაკარგების ანაზღაურება?...

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საჭიროა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ მეცნიერები, სპეციალისტები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ყველა მოქალაქე, ვისაც ჰყავს ტრანსპორტი, ან სარგებლობს ამით. ავტოინსპექციის მუშაკები კიდევ უფრო მომთხოვნი უნდა იყვნენ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვისადმი. (საქდესი).

ბელგრადი ბიბლიოთეკა

ბელგრადი

საბჭოთა გამოფენა პარიზში

პარიზი, 11 ივნისი. (საქდესი). **საბჭოთა კავშირის საგაჭრო-სამრეწველო გამოფენის დირექტორმა ტ. ა. ჩერვიაკოვმა მოაწყო პრეს-კონფერენცია. ეს გამოფენა გაიხსნება პარიზის საგამოფენო დარბაზში ვერსალის კართან.**

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა გამოფენა ისახავს ორ მიზანს: ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკონომიურ და სავაჭრო თანამშრომლობას, რომელიც წარმატებით ვითარდება, და შესაძლებლობა მისცეს ფრანგ მშრომელებს უკეთ გაეცნონ საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მის შემოქმედებითს შრომას.

გამოფენას, სადაც წარმოდგენილია 10.000-ზე მეტი ექსპონატი, უკავია 12 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. აქ ფართოდ წარმოდგენილია მრეწველობის ყველა დარგი, ნაშრომები, რომლებიც ასახავენ ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას, წარმოდგენილია გამოყენებითი ხელოვნება.

საგარეო-სავაჭრო გაერთიანებებთან ერთად გამოფენაზე ცალკე სტენდები აქვთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, ლატვიის სს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტენდი მოგვითხრობს ფუნდამენტური სამუშაოებისა და გამოკვლევების შესახებ, რომლებიც წარმოუს ასტრონომიისა და ფიზიკის დარგში, საბჭოთა მეცნიერების მთელ მსოფლიოში აღიარებული პატენტების შესახებ.

სასარგებლო მოლაპარაკება

აუ. პომპიდუს თავმჯდომარეობით

პარიზი, 10 ივნისი. (საქდესი). **პრეზიდენტ აუ. პომპიდუს თავმჯდომარეობით ელისეს სასახლეში დღეს გაიმართა მინისტრთა საბჭოს მორიგი სხდომა.**

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შუმანი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ მდგომარეობას.

მინისტრმა, კერძოდ, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. ეს მოლაპარაკება გაიმართა საფრანგეთში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის დროს. ამ პრობლემის შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარება, თქვა მან, გაგრძელდება სხვა ქვეყნებთანაც.

საბჭოთა გამოფენა

ჰავანაში

ჰავანა, 11 ივნისი. (საქდესი). **ჰავანაში, ბაზრობის ადგილზე, ოფიციალურად გაიხსნა საბჭოთა ეროვნული გამოფენა.**

ეროვნული გამოფენა ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

ეროვნული გამოფენა ასახავს ბოლო ხუთ წელიწადში საბჭოთა ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების ზრდას.

ჯ. გოლანის მოთხოვნა

ლონდონი, 11 ივნისი. (საქდესი). **გუშინ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა მოითხოვა, რომ მთავრობამ შეწყვიტოს შეტევა ინგლისის პროფკავშირთა უფლებების წინააღმდეგ და უარი თქვას ხელფასის გაყინვის პოლიტიკაზე.** ლაბორის დემოკრატიის შესახებ უაზრო, თუ პროფკავშირთა საქმიანობა თავისუფალი არ იქნა, განაცხადა ჯ. გოლანმა, რომელიც ინგლისის ტელევიზიით გამოვიდა. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მოითხოვა, რომ სამხედრო ხარჯების შემცირებისა და უფრო სამართლიანი გადასახადების შეწერის გზით გაზარდონ ასოციალური პენსიებისათვის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. ჯ. გოლანმა აღნიშნა, რომ ინგლისში იზრდება უმუშევრობა და ხაზი გაუსვა, საჭიროა ინგლისის ეკონომიკის რეორგანიზაცია და სამრეწველო წარმოების გაფართოებაო.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მოითხოვა, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ ძირეულად გადასინჯოს თავისი საგარეო პოლიტიკა და, კერძოდ, მხარი აღარ დაუჭიროს ამერიკის აგრესიას ინდოჩინეთში, განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ინტიფადა

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საქდესი). **გუშინ ამერიკის სან-ხუანის (პუერტო-რიკო) სამხედრო ბაზასთან გაიმართა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა დიდი დემონსტრაცია.** დემონსტრაციის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს პუერტო-რიკოსა და ახლომახლო კუნძულების ტერიტორიის გამოყენება პენტაგონის სამხედრო პლაცდარმად. ამერიკის მხედრიონის გაძლიერებული აქტიურობის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციები უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება კულებრის კუნძულზე კარიბის ზღვაში, რომლის ტერიტორიას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი 1940 წლიდან იყენებს საწვრთნელ პოლიგონად.

როგორც ამერიკის ხალხფორმაციო სააგენტოები ვაშინგტონიდან იუწყებიან, კულებრის კუნძულის მოსახლეობის წარმომადგენელთა ჯგუფმა გუშინ წარმოდგენილთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის სპეციალურ სხდომაზე მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ მოსპონ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები პუერტო-რიკოს ტერიტორიაზე.

რასობრივი მღელვარეობა

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საქდესი). **ფილადელფიის (პენსილვანიის შტატი) ერთ-ერთ რაიონში შემოღებულ საგანგებო წესები.**

ეს რაიონი, სადაც ძირითადად ხანგი მოსახლეობა ცხოვრობს, გადაიქცა რასობრივი მღელვარეობის ასპარეზად, რომლის დაშოშმინებისათვის პოლიცია გაგზავნეს. რაიონის მცხოვრებთა და პოლიციის შეტაკებების შედეგად ორივე მხარეს ჰყავს დაჭრილები.

ფილადელფიის მერმა ჯ. ტეიტმა განაცხადა, რომ საგანგებო წესები 24 ივნისამდე ამოქმედდებს. მან თქვა, ეშინოს, რომ რასობრივი მღელვარება არ გავრცელდეს ქალაქის სხვა რაიონებშიც.

ბერლინი

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბერლინი, 11 ივნისი. (საქდესი). **გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ულბრიხტის თავმჯდომარეობით აქ 9 და 10 ივნისს გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.**

პოლიტბიუროს მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნორდენმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. მიტაგმა გააკეთა მოხსენება „სახალხო მეურნეობის 1970 წლის გეგმის განხორციელება“.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა მოხსენება სახალხო მეურნეობის 1970 წლის გეგმის განხორციელების შესახებ და პოლიტბიუროს მოხსენება.

პლენუმზე სამოლოო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა.

□

კოფეთქება შაჰტში

ტოკიო, 11 ივნისი. (საქდესი). **ოთხი მაღაროელი ცოცხლად ჩამარხა და რვა დაშავდა ფეთქების დროს, რომელიც მოხდა „მიცუის“ კომპანიის ასიბეცუს შახტში (ხოკაიდოს კუნძული). ფეთქების დროს, რომლის მიზეზები ჯერ გაურკვეველია, სანგარში 17 მეშახტე იყო.**

ასიბეცუში მომხდარი ამბავი ტიპიურია იაპონიის ქვანახშირის მრეწველობისათვის. მეწარმენი თითქმის არ აქცევენ ყურადღებას მეშახტეთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რის შედეგად სულ იზრდება უბედურ შემთხვევათა რიცხვი. ამის გამო ყოველწლიურად იღუპება ასობით მაღაროელი და ბევრი მეშახტე ინვალიდად რჩება.

ჩამოინგრა „დუქლა“

პრაღა, 11 ივნისი. (საქდესი). **როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სამხრეთ მორავიაში დიდი წვიმების გამო ჩამოინგრა შახტი „დუქლა“. ამ დროს მიწისქვეშ მუშაობდა 110 მაღაროელი, მათგან 34 შახტიდან ვერ ამოვიდა.**

შახტში დაიწყო საშველი სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობენ მორავიიდან და სლოვაკიიდან ჩამოსული ბრიგადები, აგრეთვე პოლონელი მუშები, რომლებიც დასახმარებლად ჩამოვიდნენ.

მიწისძვრა იუგოსლავიაში

ბელგრადი, 10 ივნისი. (საქდესი). **ტოტოგრადის (ჩერნოგორია) სეისმურმა სადგურმა 9 ივნისის ხალამოდან გასული 12 საათის განმავლობაში აღრიცხა 6 მიწისძვრა ბიძგი. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს 22 კილომეტრზე ტოტოგრადის სამხრეთით. მიწისძვრაში ბიძგების ძალა სამ ბალს აღწევდა.**

ტელეტიპის ლენტიდან

ფაქტები

11 ივნისი

ჩაბარებულია შესანახად

● **ნიუ-იორკი,** 11 ივნისი. (საქდესი). **იუგოსლავია მეცხრე სახელმწიფოა, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩაბარა შესანახად საგელი სამხედრო დანაშაულობებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.**

წარმატებითი ოპერაცია

● **პანოი,** 11 ივნისი. (საქდესი). **ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს კაოხან პატეტლოს სააგენტოს და იუწყება, რომ 8 ივნისს ღამით ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა დაიკავეს პროვინციული ცენტრი სარავანი (სამხრეთი ლაოსი). ბრძოლის დროს პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს ამერიკის ორი თვითმფრინავი და ხელეთ იგდეს დიდძალი იარაღი და საომარი აღჭურვილობა.**

შეხვედრა სო

კვლავ მეოთხედფინალში

მეხიკო, 11 ივნისი. (საკუთარი სპეციალური კორესპონდენტი ბ. ე. ბორუნი, ე. სარატოვი). კვლავ, ისე როგორც სამ უწინდელ მსოფლიო ჩემპიონატებში, შვეიცარიაში, ჩილესა და ინგლისში, სსრ კავშირის ნაკრებმა ფეხბურთელები გავიდნენ მეოთხედფინალში. თავიანთ უკანასკნელ წინასწარ მატჩში ოთხშაბათს „აცტეკის“ სტადიონზე მათ სალვადორის ნაკრები დაამარცხეს ანგარიშით 2:0 (0:0). ორივე ბურთი 50-ე და 73-ე წუთზე გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანტონიო ბიშოვეცმა. სამი მატჩი — ხუთი ქულა. გატანილია ექვსი ბურთი, გაშვებულია — ერთი, სწორედ ისევე, როგორც მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისში, სადაც ჩვენი სპორტსმენები პირველ ეტაპზე შეხვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიისა და ჩილეს ნაკრებ გუნდებს.

პუებლაში ამ დღეს შვეიციის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით 1:0 მოუგო ურუგვაის გუნდს. მაგრამ „ტრე კონნერს“ „დაკალდა“ მხოლოდ ერთი ბურთი. ურუგვაელები, რომლებმაც მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე გაუშვეს ბურთი თავიანთ კარში, უფრო გამარჯვებას ზეიმობდნენ, ვიდრე განიცდიდნენ დამარცხების სიმწვავეს. ისინი მოხვდნენ რვა უძლიერესი გუნდის რიცხვში. ვის შეხვდებიან ურუგვაელები? ეს გადაწყდება ჩვენს ჯგუფში მექსიკისა და ბელგიის გუნდების შეხვედრის შემდეგ. ტურნირის მასპინძლებს ხელს აძლევს ფრე, მაგრამ მათ სურთ მოიგონ დიდი ანგარიშით, რათა დარჩნენ მეხიკოში და თამაშონ „აცტეკაზე“, ხოლო ჩვენი გუნდი „გასისტუმრონ“ ტოლუკაში.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი ოსტატობა და „ოქროს ქალლმერთის“ მოპოვების პრეტენზია, როცა გავდალაპარაში რუმინეთის ნაკრებს მოუგეს — 3:2 (2:1). პელემ ამ თამაშში გაიტანა ორი ბურთი მე-19 და 65-ე წუთზე. კიდევ ერთი ბურთი გაიტანა ყაირზინიომ (22-ე წუთზე). ახლა მას ოთხი გატანილი ბურთი აქვს, მაგრამ იგი როდი აღმოჩნდა ახლანდელი ტურნირის პირველი ეტაპის ყველა-ზე შედეგიანი თავდამსხმელი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მოთამაშემ მიიღერმა 10 ივნისს პერუელთა კარში გაიტანა სამი ბურთი, რომლებმაც მის გუნდს მოუტანა გამარჯვება საერთო ანგარიშით 3:1. ახლა მიუღერის ანგარიშზეა შვიდი ბურთი, ოთხი, ისე როგორც ყაირზინიოს, გატანილი აქვს ბიშოვეცს.

თუ როგორ მიმდინარეობდა მატჩი სალვადორის ნაკრებთან, რა აღელვებდა ჩვენს ფეხბურთელებს ამ თამაშის დროს, ამას მოგვითხრობენ თვით შეხვედრის მონაწილენი.

ანზორ კავაზაშვილი: „ჩემთვის თამაში სალვადორის გუნდთან სამამოდ მარტივი იყო. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, მაინც ვღელავდი. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ყველა ჩვენი მოთამაშე დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, ხოლო ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მეტოქის ძალების შეუფასებლობა. როცა მექსიკელებსა და ბელგიელებს ვხვდებოდით, ვიცოდით, რომ თვითეული ჩვენი მოთამაშე მთელ ძალ-ონეს ჩააქსოვს თამაშში. აქ კი შეიძლებოდა ზიანი მოეტანა ზედმეტ გულდაჯერებას. მაგრამ განა შეიძლებოდა თუნდაც ერთი ბურთი გაგვეშვა ასეთ მატჩში?“.

რევაზ ძოძუაშვილი: „ვერ ვიტყვი, რომ ძნელი მომეტება მქონოდეს მატჩში. მწვავე სიტუაციები, საბედნიეროდ, არ ყოფილა. სალვადორელებს შეეძლოთ მხოლოდ კონტრიერიშების იმედი ჰქონოდათ და თქვენ ხომ იცით, რაოდენ საშიშია სულელური, შეთხზვითი გოლი. ასე რომ ამ თამაშში წინ არ მივიხსნრაფოდი. ვცდილობდი „ჩამეკეტა“ ჩემი ფლანგი“.

ალბერტ შესტერნიოვი: „ძალიან ადვილად, თავისუფლად ვთამაშობდით. განწყობილება კარგი იყო და რადგან ვგრძნობდი მოჭარბებულ ძალას, მინდოდა წინ წავსულიყავი, დავხმარებოდი ბიჭებს“.

ვლადიმერ მუნტიანი: „ამინდი ამჯერად მეხიკოში იყო „ჩვენებური“, გრილოდა, წვიმა სცრიდა. ერთი სიტყვით, თავისუფლად ვსუნთქავდით და დავრბოდით“.

ანატოლი ბეშოვეცი: „საღვადორის წინააღმდეგ მაინცდამაინც კარგად როდი ვთამაშობდით — განსაკუთრებით იერიშების ბოლო სტადიაში. ზოგჯერ არც ბედი გვწყალობდა. ასეა, როგორც ჩანს, ფეხბურთში ზოგჯერ უსიამოვნო წუთებს განიცდი, თითქოსდა, ადვილ თამაშში“.

ვიტალი ხმელნიცკი: „მაინცდამაინც მოწყენილი არ ვიყავი ჩემს უბანზე. ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ ბურთი ვერ გავიტანე ორ, ნაღდ სიტუაციაში. როგორც ჩანს, ასედაც ხდება...“

სსრ კავშირის ნაკრები გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, შესტერნიოვი, ოფონინი, კისელიოვი (ასათიანი), მუტტიანი, სერებრიანიკოვი, ბიშოვეცი, პუზაჩი, ხმელნიცკი.

მეოთხეჯერ მოუხდა ლევ იაშინს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობა. ჯერჯერობით ჩვენი სახელოვანი მეკარე მატჩებს თვალს ადევნებდა როგორც სათადარიგო მოთამაშე, და რა თქმა უნდა საინტერესოა მოვუსმინოთ მას: „შუდამ ძნელია თამაში მსოფლიო ჩემპიონატში. ჩემი აზრით, მეხიკოში ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა სამივე მატჩი კარგად ჩაატარეს. წინ არის მთავარი ბრძოლა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ვინ იქნება ჩვენი მეტოქე, იტალიელები თუ ურუგვაელები? როგორც იტალიელებთან, ისე ურუგვაელებთან არაერთხელ გვითამაშია და საკმაო წარმატებითაც“.

დიახ, ძნელია მეოთხედფინალში გასვლა! შეიძლება ამიტომ ჩვენი ბიჭები ძალიან ღელავდნენ. მდუმარე, დაღლილი ბრუნდებოდნენ „ესკარგოტის“ სასტუმროში. სწრაფად ივახშმეს, ჩასხდნენ ავტობუსში. „დარბაზობაზე საბჭოთა ელჩმა ი. თ. კოლოსოვსკიმ ფეხბურთელებს გადასცა ვერცხლის მედლები, რომლებითაც ისინი დაჯილდოვა მექსიკის პრეზიდენტმა გუსტავო დიას ორდასმა წესიერი თამაშისათვის მეცხრე ჩემპიონატის გასსნის დღეს.

...ქალაქდის ფურცელი წინასწარ დაქმული ნიშნით გზას გაუხსნის ამა თუ იმ გუნდს მეოთხედფინალში, თუ მათ ვერ შეძლეს თავიანთი ურთიერთობის გამორკვევა ფეხბურთის მოედანზე. ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ორი ან მეტი გუნდი ქვეჯგუფებში დაგროვებს ქულების თანაბარ რაოდენობას და ექნებათ გატანილი და გაშვებული ბურთების ერთნაირი სხვაობა, სასტუმრო „მარია იზაბელაში“ მოეწყობა წილისყრა. პრესის წარმომადგენლებს არ დაუშვებენ ამ ცერემონიალზე, მაგრამ იგი ტრანსლირებული იქნება ტელევიზიით.

სტადიონზე და ცხოვრებაში

□ **ლუბლ რეგეირომ იუინასწარმეტყველა.** ბელგიელებთან მატჩის შემდეგ სასიამოვნო შეხვედრა გვქონდა. „ესკარგოტში“ ჩამოვიდა ჩემი ძველი ნაცნობი — ბასკების 30-იანი წლების გუნდის სახელგანთქმული კაპიტანი ლუის რეგეირო. მან მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ნაკრების თამაშს ბელგიის გუნდის წინააღმდეგ. შემდეგ კი ბელის თითებზე ჩამოთვალა მეოთხედფინალის მონაწილეთა „თავისი შემადგენლობა“: „მექსიკა, სსრ კავშირი, იტალია, ურუგვაი, ბრაზილია, ინგლისი, დასავლეთ გერმანია, პერუ. როგორც ჩანს, ლუისი ჭეშმარიტებასთან ახლოა.

ხოლო როცა საბჭოთა მწვრთნელებისა და სპეციალისტების ჯგუფი ჩამოვიდა, მთლად შინაურულად გვკადარეთ დრო. საინტერესოა, რომ ამ თანამემამულეთაგან შესაძლებელი იქნებოდა სსრ კავშირის უველა თაობის ნაკრების შედგენა. ჩვენთან ისხდნენ ა. ხომიჩი, ბ. არკადიევი, ნ. მოროზოვი, ო. ოშენკოვი, ვ. ივანოვი, ნ. სიმონიანი, ვ. მასლოვი, ვ. ლობანოვსკი, გ. ჩოხელი.

„სოციალისტი ჩრდილოეთ ინდუსტრია“.

□ **ბრაზილია-ინგლისის მატჩზე.** ინგლისელები იმისათვის ზეიმობენ, რომ აღიდგინონ ძალა, რაც ბრაზილიის ნაკრებთან მატჩში დაბარჯეს. როგორც გუნდის ექიმი აცხადებს, მატჩში, რომელიც პაპანაქება სიცხის პირობებში მიმდინარეობდა, თვითეულმა ინგლისელმა მოთამაშემ წონაში საშუალოდ 5 კილოგრამი დაკარგა.

□ **სუანიტო მეხიკოდან იტყობინებენ:** აი მთავარი, რაც შევიტყე ცნობილ მეკარეებთან შეხვედრისას. ამ დღეებში ვ. გრანატკინის ფიფას პრეზიდენტთან ს. როუზთან მოლაპარაკება ჰქონდა სსრ კავშირისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის მოსკოვში შეხვედრის მოწყობის შესახებ. ეს მატჩი მიეძღვნება დიდ ფეხბურთში ლეგ იაშინის გამოსვლის 25 წლისთავს. სტენლი როუზმა კვლავ დაადასტურა, რომ ფიფა მზად არის მხარი დაუჭიროს ასეთი შეხვედრის მოწყობას, და მხოლოდ შენიშნა, რომ საჭიროა ყურადღებით შერჩეულ იქნას თარიღი, რათა უძლიერეს მოთამაშეებს შესაძლებლობა მიეცეთ ესტუმრონ იაშინს.

„იზვესტია“.

მატჩი გუდაკეშეთში

გუდაკეშეთი გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და უნგრეთის „ნიმეს“ კოლექტივები. წარმატება მოსკოვის დინამოელებს ხვდათ 3:1 (15:13, 17:15, 10:15, 15:12).

ამ გუნდების მეორე მატჩი შედგება მოსკოვში 21 ივნისს.

ტურნირი უნგრეთში

უნგრეთის საკურორტო ქალაქ ბალატონ-სეპლაკში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ქადრაკში ქალთათვის.

ამ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ბაქოელი საერთაშორისო ოსტატი ტატიანა ზატულოვსკაია, რომელმაც 13-დან 9,5 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

კომუნისტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

„პრავდის“ პრიზზე

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სარბენ ბილიკებზე დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება რბენაში „პრავდის“ პრიზზე. მონაწილეობდა 9 ქვეყნის 540 სპორტსმენი. ამ შეჯიბრებამ ცხადყო ჩვენი სპორტსმენების კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, და შედეგებიც კარგი აღმოჩნდა.

ყურადღებას იპყრობდა შეჯიბრება 5.000 მეტრზე რბენაში. აქ ახალ სუზონში უკეთესი დრო ჩვენი მძლეოსნებისათვის — 13 წუთი და 42,6 წამი აჩვენა ლენინგრადელმა რ. შარაფუტდინოვმა. სპრინტერთა ასპარეზობაში ქალთა შორის მორიგ წარმატებას მიაღწია მოსკოველმა ნ. ბეფფამილნაიმ. მან 100 მეტრი გაირბინა 11,7 წამში. ამავე დისტანციაზე რბენაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. საპეიამ — 10,4 წამი.

საზღვარგარეთელი სპორტსმენებიდან პირველ დღეს წარმატება ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს მ. ცერბესს, რომელმაც 400 მეტრზე რბენაში აჩვენა დრო — 47,2 წამი და პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა მძლეოსანი ა. ბრაგჩიკოვი გამარჯვებულს ერთი მეათედი წამით ჩამორჩა. 3.000 მეტრზე რბენაში დაბრკოლებებით პირველი ადგილი დაიკავა კიეველმა ვ. კუდინსკიმ — 8 წუთი და 30,8 წამი. ეს შედეგი ახალი სეზონის მიხედვით მსოფლიოში საუკეთესოა.

□ □

ტულის საერთაშორისო

გუშინ ტულაში დამთავრდა გეოლობრძოლთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი საფრანგეთის, იტალიის, დანიის, რუმინეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და სსრ კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობით.

ერთ კილომეტრზე რბოლაში მთავარი პრიზი მოიპოვა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ა. აგაპოვმა. მან აჩვენა დრო — 1 წუთი და 10,07 წამი. ა. აგაპოვმა გაუსწრო მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორს პ. პეტერსენს (დანია) და ხარკოველ ს. კრავცოვს. აღსანიშნავია, რომ უძლიერესთა სამეულში ვერ მოხვდა მსოფლიოს და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი ფრანგი პ. ტრანტენი.

ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე დადიენებით უძლიერესი იყო მოსკოველი ვ. კუზნეცოვი — 5 წუთი და 02,96 წამი, მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა.

საინტერესო იყო სპრინტერული რბოლა. ისეთი აღიარებული სპრინტერი, როგორიც არის ფრანგი პ. ტრანტენი, ფინალში ვერ მოხვდა. დასკვნითი ასპარეზობა ჰქონდათ ოლიმპიურ არაერთგზის ჩემპიონს დ. მორელონს (საფრანგეთი), ო. ფხაკაძეს, ი. (ილოდნიკოვსა და ვ. ლოგუნოვს. წარმატება დ. მორელონს ხვდა. ო. ფხაკაძე მეორე იყო.

ცნობათა კუთხე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ქ. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი № 6 პროფტექნიკური საშუალო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წელს ქართულ და რუსულ სექტორებზე შემდეგ სპეციალობებზე:

ხარატები, მღარავები, მექანიკური საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, ზეინკალ-შემკეთებლები და ზეინკალ-ავტოშემკეთებლები.

ახალგაზრდები მაღქანათმშენებლობის პროფილის საწარმოო კვალიფიკაციათან ერთად მიიღებენ სრულ საშუალო განათლებას. სწავლების ვადა სამი წელია.

სასწავლებელში ჩაირიცხებიან ვაჟები და გოგონები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 8 კლასი.

საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლა უფასოა. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სპეცტანსაცმლით.

პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლების პერიოდი ეთვლებათ საწარმოო სტაჟად.

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე. 2. მოწმობა რვა კლასის დამთავრების შესახებ, 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. დაბადების მოწმობა, 5. ოთხი ფოტოსურათი, ზომით (3×4).

სასწავლებლის მისამართი: ლენინის რაიონი, მაგნიტოგორსკის ქუჩა № 1. ტელეფონი 66-34-15. ტრანსპორტი: მეტრო დიდუბე, ტრამვაი 5,6, ავტობუსი 18, 57.

სასწავლებელში მიღების შესახებ ცნობები მიიღება სასწავლებლის სასწავლო ნაწილში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

ა) **დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:**

პირველი კურსი:

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. კერამიკის ტექნოლოგია; 3. ბმული აზოტის ტექნოლოგია; 4. არქიტექტურა; 5. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 6. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია.

მეორე კურსი:

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა, 2. ავტომატური სატელეფონო კავშირი, 3. საფოსტო კავშირგაბმულობა; 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

ბ) დაუწყებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

პირველი კურსი:

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

მეორე კურსი:

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. ავტომატური სატელეფონო კავშირი; 3. საფოსტო კავშირგაბმულობა; 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა;

ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქეები დღის განყოფილებაზე 30 წლის ასაკამდე, ხოლო დაუწყებელი სწავლების განყოფილებაზე ასაკის განუსაზღვრელად.

პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა-თხზულება), 2. მათემატიკა (ზეპირი).

მეორე კურსზე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა-თხზულება) 2. მათემატიკა (ზეპირი).

შენიშვნა: არქიტექტურის სპეციალობის პირველ კურსზე შემსვლელები დამატებით აბარებენ გამოცდას ხატვაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან

ა) **არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, დაჯილდოებული ქების სიგელით და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი.**

ბ) **სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დათხოვნილი ოფიცრები და ზესამსახურის სამხედრო პირები.**

მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად კონკურსბარშე ჩაირიცხებიან:

ა) **წარმოებიდან მოვლინებული პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.**

ბ) **საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულები.**

გ) ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

დანარჩენ ადგილებზე ჩაირიცხებიან ყველა დანარჩენი შემსვლელები კონკურსის მიხედვით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას ხელმძღვანელობაში მიღებული იქნება რეზერვი გამოცდის ნიშნები, ისე სკოლის დამთავრების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნები.

ტექნიკუმის დღის განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით არსებული წესის მიხედვით.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1970 წლის 31 ივლისამდე (დაუწყებელ განყოფილებაზე 10 აგვისტომდე) შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. **განათლების მოწმობა** (ატესტატი, დედანი), 2. **შრომის** (ან საკოლმეურნეო) **წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, 3. ავტობიოგრაფია, 4. ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა** (ფორმა № 286), **5. სამი ფოტოსურათი** (ზომა 3×4), **6. დაბადების მოწმობა, 7. პასპორტი, სამხედრო ბილეთი** (სამხედრო ვალდებულთათვის) **ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი** (წვევამდელთათვის) **წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად, 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

დაუწყებელი სწავლების განყოფილებაზე შემსვლელთათვის საკვალდებულოა სასწავლო პროფილის შესაბამისი სპეციალობით მუშაობა.

ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დასაწყისში წარმოდგენილ უნდა იქნას მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი საბუთის დედანი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1970 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს, დაუწყებელი სწავლების განყოფილებაზე — 1 ოქტომბერს.

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 8. ტელ. 95-32-42.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ფარმაცევტული სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის II კურსზე წარმოებებისაგან მოწყვეტით

სასწავლებელში მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია.

სასწავლებელში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ ქართულ ენაში (წერა) და ქიმიაში (ზეპირი).

სასწავლებელში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვდნენ ოქროს ან ვერცხლის მედლით.

სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესი უფლებებით სარგებლობენ: ა) ის პირები, რომლებსაც აქვთ ფარმაცევტული ან სამედიცინო განხრით პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა, ბ) საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ სამხედრო სამსახურში დაჰყვეს სულ ცოტა 2 წელი.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიღებულ იქნება როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნების საშუალო არითმეტიკული.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შემოაქვს განცხადება, რომელსაც დაერთვის შემდეგი საბუთები: ა) ატესტატი (დედანი), ბ) ავტობიოგრაფია, გ) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), გაცემული სკოლის ექიმის ან რაიონული საავადმყოფოს (პოლიკლინიკის) საუბნო ექიმის მიერ, დ) სამი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4, ე) ის პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი, განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ შრომის წიგნაკის ამონაწერს, დამოწმებულს საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. საწარმოო სტაჟით სასწავლებელში ჩარიცხული პირები პირველ სექტემბერს წარმოადგენენ შრომის წიგნაკის დედას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაირიცხებიან სასწავლებლიდან; ვ) სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარმოადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

განცხადებები მიიღება 15 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები — 15 აგვისტოდან. საბუთების მიღება იწარმოებს საღამოს 6-დან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს საღამოს 4 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ქუთაისის ქ. № 20, ტელეფონი 95-05-45.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასაშუალო სკოლის ბაზაზე, **საბუღალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

2. **ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა, მებოსტნეობა-მევენახეობის **განხრით, სოფლის** მეურნეობის **მექანიზაცია, ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია, საბუღალტრო** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

3. **აჩიგვარის (ბალის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა **სუბტროპიკული განხრით, სოფლის** მეურნეობის **მექანიზაცია, საბუღალტრო** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

4. **ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **სოფლის** მეურნეობის **მექანიზაცია, საბუღალტრო** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

5. **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — ვეტერინარია, **სოფლის** მეურნეობის **მექანიზაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

6. **ბათუმის (მწვანე კონცხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული** განხრით — არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზაზე, **ბუღალტერია** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

7. **ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, **მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის** **განხრით, ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; **ღვინის ტექნოლოგია, საბუღალტრო** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

8. **ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **სოფლის** მეურნეობის **მექანიზაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **საბუღალტრო, დაკონსერვების ტექნოლოგია** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

9. **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **მეხილეობა - მებოსტნეობა-მევენახეობის** **განხრით, საბუღალტრო, სოფლის** მეურნეობის **მექანიზაცია** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **სოფლის** მეურნეობის **დაგეგმვა, საბუღალტრო, მეხილეობა-მებოსტნეობა** **მევენახეობის** **განხრით** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

10. **გორაბერეჟოულის (ჩოხატაურის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **აგრონომიული, საბუღალტრო** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

11. **გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა, სუბტროპიკული** **განხრით** — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, **საბუღალტრო, სოფლის** მეურნეობის **დაგეგმვა** — საშუალო სკოლის ბაზაზე;

12. **დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — **დასახლებული ადგილების** **გამწვანება, საბუღალტრო, ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია** — **ბოსტნეულის ტექნოლოგია** — **ბოსტნეულის ტექნოლოგია** — **